

საქართველოს მხრიდან დამტკიცებულია საქართველოს პრემიერის  
1999 წლის 11 მაისის N 304 ბრძანებულებით

## შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის  
მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობა,  
შემდგომში "მონაწილე მხარეებად" წოდებულნი,

სურთ რა ორივე სახელმწიფოს ურთიერსარგებლობისათვის ხელი შეუწყონ მათ შორის  
უფრო ფართო ეკონომიკურ თანამშრომლობას,

აღიარებენ რა ინვესტიციების დაცვისა და წახალისების აუცილებლობას ერთი  
მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მეორე მონაწილე მხარის  
სახელმწიფოს ინვესტიციების ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისა  
და შენარჩუნების მიზნით,

ეთანხმებიან რა, რომ ინვესტიციების სტაბილური საფუძველი უზრუნველყოფს  
ეკონომიკური რესურსების გამოყენებისა და საწარმოო ძალთა განვითარების  
მაქსიმალურ ეფექტიანობას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

#### ზოგადი განმარტებები

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

1. ტერმინი "ინვესტორი" ვრცელდება და მოიცავს:

i - მონაწილე მხარეთა სახელმწიფოებს;

ii - მონაწილე მხარეთა სახელმწიფოების იურიდიულ პირებს;

iii - მონაწილე მხარეთა სახელმწიფოების საერთაშორისო ორგანიზაციებს;

iv - მონაწილე მხარეთა სახელმწიფოების მოქალაქეებს, მოქალაქეთა გაერთიანებებს  
და მოქალაქეობის არმქონე პირებს;

v - საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრებ მონაწილე მხარეთა მოქალაქეებს;

2. ტერმინი "ინვესტიცია" ნიშნავს ქონებრივ ფასეულობათა ნებისმიერ სახეს და  
უფლებებს მათზე, ასევე, უფლებებს ისეთ ინტელექტუალურ, სავაჭრო და სამრეწველო  
საკუთრებაზე, როგორცაა, საავტორო უფლებები, პატენტები, სასარგებლო მოდელები,  
სამრეწველო ნიმუშები და მოდელები, სასაქონლო ნიშნები, საფირმო დასახელებები,  
საწარმოო და კომერციული საიდუმლოებანი, ტექნოლოგიები, "გულ-ვილ" - ი და  
"ნოუ-ჰაუ".

3. ინვესტიციები, მონაწილე მხარეების სახელმწიფოთა ტერიტორიებზე ხორციელდება:

i - ინვესტიციების მთლიანად, ან წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე მათი  
კუთვნილი სამეურნეო საზოგადოებებისა და ამხანაგობების, ბანკების, სადაზღვევო

ორგანიზაციებისა და სხვა საწარმოების შექმნის;

ii - ქონების, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნის;

iii - ქონებრივი უფლებების, მიწისა და ბუნებრივი რესურსების განკარგვისა და გამოყენების უფლების ჩათვლით ( მათ შორის იჯარის საფუძველზე), შექმნის;

iv - ინვესტირების ადგილას ინვესტიციების, რომელიც არ ეწინააღმდეგება მონაწილე მხარეების სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მოქმედ კანონმდებლობას განსახორციელებლად სხვა საქმიანობის ვით;

v - არავითარი შეცვლა ფორმისა, რომელითაც ხორციელდება ფასეულობათა თავდაპირველი ან განმეორებითი დაბანდება, არ იწვევს ინვესტიციის სახით მათი კვალიფიკაციის შეცვლას;

4. გერმინი "იურიდიული პირები" ნიშნავს - იურიდიულ პირს, რომლებსაც მიღებული აქვთ თავიანთი სტატუსი ერთი მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობით და ანხორციელებენ ინვესტიციებს მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

5. გერმინი "მოქალაქეები" ნიშნავს - ერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობით მოქალაქეობისა და უფლებაუნარიანობის მქონე, მის ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრებ და მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ინვესტიციების განხორციელებულ პირებს;

6. გერმინი "მოქალაქეობის არმქონე პირები" ნიშნავს - ერთ-ერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად მაცხოვრებელი მოქალაქეობის არმქონე, მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე ინვესტიციების განხორციელებისა და სამეწარმეო საქმიანობის გაძღოლისათვის ამ მონაწილე მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ პირებს;

7. გერმინი "შემოსავალი" ნიშნავს, მაგრამ არა მხოლოდ - ინვესტიციების შედეგად მიღებულ თანხებს, როგორც განსაზღვრულია ამ მუხლის 2,3 პუნქტებში, მოგების, პროცენტების, დივიდენდების, როიალთის, სალიცენზიო და საკომისიო ანაზღაურების, გექნიკურ დახმარებაზე გადასახადების, გექნიკური მომსახურების და სხვა ფორმებით ანაზღაურების სახით.

8. გერმინი "ტერიტორია" ნიშნავს შესაბამისად მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიას, რომელზედაც ამ მონაწილე მხარის სახელმწიფო, ანხორციელებს თავის სუვერენულ, უფლებებსა და იურისდიქციას, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

## მუხლი 2

### შეთანხმების გამოყენება

ეს შეთანხმება გამიყენება ერთ-ერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ინვესტიციების მიმართ, რომელიც განხორციელებულია მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორის მიერ მისი კანონმდებლობის შესაბამისად, დამოუკიდებლად იმისა, განხორციელებულნი არიან ისინი ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე თუ შესვლის მომენტის შემდგომ.

## მუხლი 3

### ინვესტიციების წახალისება და დაცვა

1. თითოეული მონაწილე მხარე, თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლების შესაბამისად, დაუშვებს და წახალისებს თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე

მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორების ინვესტიციებს.

2. თითოეული მონაწილე მხარე, თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობის ფარგლებში, ხელს შეუწყობს ურთიერთ ინვესტირების სხვადასხვა ფორმებს და თავის ტერიტორიაზე მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორთა ინვესტიციების დაცვის საშუალებით უზრუნველყოფს ეკონომიკურ თანამშრომლობას.

3. მონაწილე მხარეები, მონაწილე მხარეთა სახელმწიფოს ტერიტორიასა და ნებისმიერ მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მათ მიერ პირდაპირი ინვესტიციებისა და მრავალმხრივი ეკონომიკური პროექტების რეალიზაციის განხორციელებისას, გამოვლენ მონაწილე მხარეთა საწარმოებებისათვის ინვესტიციებით დახმარების აღმოჩენის აუცილებლობიდან.

4. თუ მონაწილე მხარემ, ამ შეთანხმების ფარგლებში, დაუშვა თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ინვესტიციები, მაშინ, თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ მონაწილე მხარის მიერ მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორებზე გაიცემა ასეთ ინვესტიციებთან დაკავშირებული აუცილებელი ნებართვები.

#### მუხლი 4

##### ეროვნული რეჟიმი და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი

1. თითოეული მონაწილე მხარე, თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მისი კანონმდებლობის შესაბამისად, გარანტირებს მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოთა ინვესტორების ინვესტიციების მთლიან და უპირობო სამართლებრივ დაცვას.

2. თითოეული მონაწილე მხარე თავის ტერიტორიაზე მიახიჭებს მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორთა შემოსავლებსა და ინვესტიციებს თანაბარ უფლებიან და სამართლიან რეჟიმს, არანაკლებ იმ რეჟიმისა, რომელსაც იგი ანიჭებს საკუთარი ინვესტორების შემოსავლებსა და ინვესტიციებს და/ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის ინვესტორთა შემოსავლებსა და ინვესტიციებს.

3. თითოეული მონაწილე მხარე, მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მიმართ დაიცვას ნებისმიერ ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ამ შეთანხმებიდან და ეროვნული კანონმდებლობიდან.

4. ამ შეთანხმების დებულებები, დაკავშირებული უპირატესი ხელშეწყობის პრინციპთან, არ უნდა იქნეს განმარტებული როგორც ერთ-ერთ მონაწილე მხარის ვალდებულება გააერცელოს მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორებზე პრეფერენციების ან პრივილეგიების შეღავათიანი რეჟიმი, გამომდინარე:

i) არსებული ან მომავალში შესაძლო საბაჟო, სავალუტო და საგადასახადო კავშირებიდან, თავისუფალი სავაჭრო ზონისა და ერთიან ტარიფებიდან, საერთო ბაზრის ან რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების, რომელთა მონაწილეებად ითვლება ან შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მონაწილე მხარე, სხვა ფორმებიდან;

ii) ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებიდან ან დაბეგვრის საკითხებზე სხვა საერთაშორისო შეთანხმებებიდან.

#### მუხლი 5

##### სხვა წესებისა და სპეციალური ვალდებულებების გამოყენება

თუ ერთ-ერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობის დებულებები, ან ვალდებულებები, დაკავშირებული საერთაშორისო სამართალთან, უკვე არსებული ან შექმნილი შემდგომში დამატებით ამ შეთანხმებასთან, შეიცავენ ზოგადი ან სპეციფიკური ხასიათის დებულებებს მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორების ინვესტიციებზე უფრო ხელსაყრელი რეჟიმის მინიჭებაზე, ვიდრე ისეთისა, როგორც მინიჭებულია ამ შეთანხმებით, ამ დებულებებს იმ მოცულობით, რომლითაც ისინი არიან უფრო ხელსაყრელი, ექნებათ პრიორიტეტი ამ შეთანხმებასთან შედარებით.

## მუხლი 6 გადაგზავნები

1. მონაწილე მხარე, რომლის სახელმწიფოს ტერიტორიაზე იქნა განხორციელებული მეორე მონაწილე მხარის ინვესტორთა მიერ ინვესტიციები ამ ინვესტორთა მიერ შესაბამისი გადასახადისა და ბაჟის გადახდის შემდეგ, უზრუნველყოს ამ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადასახადების დაუბრკოლებლივ გადაგზავნას, კერძოდ, მაგრამ არა მხოლოდ ამომწურავად:

i) პროცენტების, დივიდენდების, მოგებისა და სხვა მიმდინარე შემოსავლების, როგორც არიან ისინი განსაზღვრული ამ შეთანხმების 1 მუხლის მე-7 პუნქტში;

ii) ორივე მონაწილე მხარის მიერ ინვესტიციებად აღიარებული სესხის დასაფარავი თანხების;

iii) ინვესტიციების მართვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავი თანხების;

iv) ამ შეთანხმების 1 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული უფლებებით წარმოშობილი სალიცენზიო შემოსავლებისა და სხვა გადასახადების;

v) მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციების შენახვის ან განვითარებისათვის, ასევე, მენეჯმენტისათვის აუცილებელი კაპიტალის თანხისა და დამატებითი თანხის

vi) ინვესტიციების გასხვისებით, მთლიანი ან ნაწილობრივი ლიკვიდაციით, მათ შორის კაპიტალის გაზრდით მიღებული შემოსავლების;

vii) ერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ მიღებული, მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებული ხელფასის;

viii) ამ შეთანხმების ყველა მუხლის შესაბამისად, კუთვნილი კომპენსაციისა და ამ შეთანხმების ფარგლებში ნებისმიერ საინვესტიციო დავებთან დაკავშირებული სხვა გადასახადების.

2. გადაგზავნები განხორციელდება ყოველგვარი შეფერხების გარეშე იმ ვალუტაში, რომლითაც იქნა განხორციელებული ინვესტიციები, ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, გადაგზავნის დღეს გამოყენებული კურსითა და მონაწილე მხარის სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც იქნა განხორციელებული ინვესტიციები, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

3. მიუხედავად ამ მუხლის 1,2 პუნქტების დებულებებისა, მონაწილე მხარეს, თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობის გამოყენების სამართლიანი და არადისკრიმინაციული საფუძვლების პირობებით შეუძლია აკრძალოს გადაგზავნები, იმ შემთხვევებში, რომლებიც ეხება:

- i - გაკოტრებას, გადახდის უუნარობის ან კრედიტორების უფლებათა დაცვას;
- ii - ემისიებს, ვაჭრობას ან ოპერაციებს ფასიანი ქაღალდებით;
- iii - აღმინისგრატიულ ან სისხლის სამართლის დანაშაულებებს;
- iv- სასამართლო განხილვების წესთან ან გადაწყვეტილებებთან წამოჭრილ შეუსაბამობას.

4. ამ მუხლში აღნიშნული და ერთერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორების მიერ ინვესტირების ადგილზე წყაროებიდან მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციების შედეგად მიღებული შემოსავლები და სხვა თანხები ნებისმიერ ვალუტაში, შეიძლება რეინვესტირებული და გამოყენებული იქნას უკანასკნელი მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვა მიზნებისათვის, მისი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მონაწილე მხარეთა სახელმწიფოს ვალუტის და სხვა სახელმწიფოს ვალუტის, საგადასახადო დოკუმენტების, ფასიანი ქაღალდების, შეგანა და გაგანა რეგლამენტირებულია მონაწილე მხარეთა სახელმწიფოს კანონმდებლობით სავალუტო რეგულირების შესახებ ინვესტიციების განხორციელების ადგილის მიხედვით.

## მუხლი 7

### ექსპროპრიაცია და კომპენსაცია დანაკარგებზე

1. მონაწილე მხარეები არ აწარმოებენ პირდაპირ ან ირიბად, ქმედებებს ამოღებაზე, ნაციონალიზაციაზე, ან, ისეთივე ხასიათის, ან მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორების კუთვნილი ინვესტიციების მიმართ თანაბარი შედეგის მქონე სხვა ქმედებებს, თუ ისინი დაკავშირებული არ არიან:

i - საკანონმდებლო წესით განხორციელებული სამოგადობრივ ინტერესებით გამოყენებულ ზომებთან;

ii - არადისკრიმინაციული ხასიათის ან ქმედებაზე საპასუხოდ გამოყენებულ ზომებთან, რომლებიც მიღებული იქნებიან მეორე მონაწილე მხარის მიერ.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის 1 და 2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების შედეგად ინვესტიციების ამოღების განმხორციელებელი მონაწილე მხარე უზრუნველყოფს მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორებისათვის სამართლიან და ეფექტურ ანაზღაურებას. ასეთი ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს ინვესტიციების ამოღების საბაზრო ღირებულებას, განსაზღვრულ ამოღებაზე ან იმ მომენტამდე, როდესაც გადაწყვეტილება ამოღებაზე გახდება საყოველთაოდ ცნობილი (დამოკიდებულებით იმისა, რა მოხდება უფრო ადრე), შეიცავს პროცენტებს ამოღებული ინვესტიციების ღირებულებიდან "LIBOR" - ის განაკვეთით ამოღების თარიღიდან და ექვემდებარება თავისუფალ გადაგზავნას.

ანაზღაურების თანხა დადგენილი უნდა იქნას იმ ვალუტაში, რომელშიც იქნა განხორციელებული ინვესტიციები, ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში და აუნაზღაურდეს ინვეტორს დაბრკოლების გარეშე დამოუკიდებლად მისი საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელისა. "დაბრკოლების გარეშე" გადაგზავნად უნდა ჩაითვალოს გადაგზავნა, წარმოებული გადაგზავნასთან დაკავშირებული ფორმალური ქმედებების შესრულებისათვის გონივრულად საჭირო დროის განმავლობაში. ამ პერიოდის აღრიცხვა იწყება განაცხადის წარდგენის თარიღიდან და არ აღემატება სამ თვეს.

3. ერთ-ერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორებს, რომელთა

ინვესტიციებმაც განიცადეს მარალი ომის ან სხვა შეიარაღებული კონფლიქტის, რევოლუციის, საგანგებო მდგომარეობის, გადაგრილების, სამოქალაქო არეულობის ან სხვა მსგავსი მოვლენების შედეგად, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მიეცემათ კომპენსაცია, რესტიტუცია, ანაზღაურება ან მარალის სხვა ღირებულებით გასამრჯელო, ამ შეთანხმების მე-4 მუხლის 1,2,3, პუნქტების შესაბამისი პირობებით.

4. ერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორებს აქვთ დანაკარგების ანაზღაურების უფლება, დაკარგული მოგების ჩათვლით, მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ინვესტიციებისათვის მიყენებული მარალისათვის, სახელმწიფო ორგანოების ან მონაწილე მხარის თანამდებობის პირთა ქმედების შედეგად, რომელიც ეწინააღმდეგება ინვესტიციების ადგილზე სახელმწიფოს კანონმდებლობას, ასევე, ასეთი ორგანოების, ან თანამდებობის პირთა მიერ მათი მოვალეობების არასათანადო განხორციელების შედეგად, რომლებიც კანონმდებლობითაა განსაზღვრული, პირველი მონაწილე მხარის სახელმწიფო ინვესტორთა, ან ამ ინვესტიციებით შექმნილ საწარმოთა მიმართ.

## მუხლი 8 სუბროგაცია

1. იმ შემთხვევაში, თუ ერთი მონაწილე მხარე ან უფლებამოსილი ინსტიტუტები, არაკომერციული რისკთან მიმართებაში თავიანთ ინვესტორებს მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ინვესტიციებს ანიჭებენ რაიმე ფინანსურ გარანტიებს და განახორციელებს გადახდა ამ გარანტიისათვის, მაშინ მეორე მონაწილე მხარე სუბროგაციის პრინციპის საფუძველზე, აღიარებს უფლებების მთლიანი მოცულობით გადასვლა, მათ შორის, ამ ინვესტორთა მოთხოვნის უფლებას, პირველი მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი ინსტიტუტების მიმართ, გარდა ამ ინვესტორთა ვალდებულებებისა, რომლებიც დაკავშირებულია ამგვარად დაზღვეულ ინვესტიციებთან.

2. ამ მუხლის 1 პუნქტში განსაზღვრული სუბროგაციის შემთხვევაში, ინვესტორი არ გამოდის მოთხოვნებით, თუ იგი არ არის უფლებამოსილი ამაზე მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი ინსტიტუტების მიერ.

3. მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორთან დავაში მონაწილე მხარე მისი გადაჭრის ან მასზე გადაწყვეტილების შესრულების მთელი პროცესის განმავლობაში არ უნდა დაეყრდნოს დაცვის სახით თავის იმუნიტეტს ან ინვესტორის მიერ კონგრატის დაზღვევით კუთვნილი ანაზღაურების მიღებას, რომელიც არ ითვალისწინებს უკანასკნელი მონაწილე მხარის ან მისი უფლებამოსილი ინსტიტუტების გარანტიების მინიჭების გაუთვალისწინებლად და მიყენებული მარალის ან დანაკარგის მთლიან ან ნაწილობრივ დაფარვას.

## მუხლი 9 კონსულტაციები

თითოეულ მონაწილე მხარეს შეუძლია შესთავაზოს მეორე მონაწილე მხარეს ჩააგარონ კონსულტაციები ამ შეთანხმების ინტერპრეტაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიზეზით.

მუხლი 10  
მონაწილე მხარეთა შორის დავეების გადაწყვეტა

1. დავეები მონაწილე მხარეებს შორის, რომლებიც ეხება ამ შეთანხმების დებულებების განმარტებასა და გამოყენებას, უნდა გადაწყდეს დიპლომატიური არსებით.
2. თუ მონაწილე მხარეთა შორის არ იქნება მიღწეული თანხმობა დავის წამოჭრიდან ექვსი თვის განმავლობაში, დავა, ნებისმიერი მონაწილე მხარის მოთხოვნით, გადაცემა სამი წევრისაგან შედგენილ საარბიტრაჟო სასამართლოს. თითოეული მონაწილე მხარე ნიშნავს თითო არბიტრს, ხოლო დანიშნული არბიტრები ირჩევენ თავმჯდომარეს, რომელიც უნდა იყოს მესამე სახელმწიფოს, ორივე მონაწილე მხარის სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების მხარდამჭერი მოქალაქე.
3. თუ ერთ-ერთი მონაწილე მხარე არ დანიშნავს თავის არბიტრს და არ დაეთანხმება მეორე მონაწილე მხარის მოწვევას, ჩაატაროს ასეთი დასკვნა ორი თვის განმავლობაში, უკანასკნელ მონაწილე მხარეს შეუძლია მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს, რომ მან განახორციელოს აუცილებელი დანიშვნა.
4. თუ ორივე არბიტრი, მათი დანიშვნიდან ორი თვის განმავლობაში ვერ მიაღწევენ თანხმობას თავმჯდომარის არჩევის მიმართებაში, ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს აუცილებელი დანიშვნის თაობაზე.
5. თუ, ამ მუხლის 3,4 პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტი ვერ შეძლებს შეასრულოს აღნიშნული ფუნქცია ან თუ იგი ითვლება ერთერთი მონაწილე მხარის მოქალაქედ, მაშინ ასეთი დანიშვნა უნდა მოხდეს პრეზიდენტის მოადგილის მიერ, ხოლო თუ მას არ შეუძლია შეასრულოს შესაბამისი ფუნქცია ან ითვლება ერთერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოს მოქალაქედ, მაშინ დანიშვნა უნდა მოხდეს საერთაშორისო სასამართლოს უფროსობის მიხედვით შემდეგი წევრის მიერ, რომელიც არ ითვლება არც ერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოს მოქალაქედ.
6. კანონის პაგივისცემის საფუძველზე სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. სანამ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, მას შეუძლია თავისი მუშაობის ნებისმიერ სტადიაზე შესთავაზოს მონაწილე მხარეებს გადაწყვიტონ დავა მეგობრული გზით. წინა დებულებები ხელს არ შეუშლიან გადაწყვეტილებას, თუ მონაწილე მხარეები ასე გადაწყვიტენ.
7. მონაწილე მხარეთა შორის სხვა შეთანხმების დაურღვევლად სასამართლო დაადგენს პროცედურის თავის წესებს. სასამართლო გადაწყვეტილება გამოაქვს ხმათა უმრავლესობით.
8. თითოეული მონაწილე მხარე გაიღებს სასამართლოს თავისი წევრის შენახვის, ასევე, საარბიტრაჟო პროცედურაში თავისი წილის შესაბამისად, ხარჯებს. საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის შენახვის ხარჯები და დანარჩენი ხარჯები იფარება მონაწილე მხარეთა მიერ თანაბრად. თუმცა, სასამართლოს შეუძლია თავის გადაწყვეტილებაში განსაზღვროს ხარჯებში ერთერთი მონაწილე მხარის უფრო მაღალი მონაწილეობა და ეს გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება თითოეული მონაწილე მხარისათვის.
9. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა თითოეული

მონაწილე მხარისათვის.

### მუხლი 11

დავების გადაწყვეტა მონაწილე მხარესა და მეორე მონაწილე მხარის  
ინვესტორს შორის

1. თითოეული მონაწილე მხარე, ამით იძლევა თანხმობას, ერთერთ მონაწილე მხარესა და მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორს შორის პირველი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციების მიმართებაში წამოჭრილი ნებისმიერი კანონიერი დავის საინვესტიციო დავების მორიგების გზით გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრისათვის ან სასამართლოსათვის, 1965 წლის 18 მარტს ვაშინგტონში ხელმოსაწერად გახსნილი "სახელმწიფოთა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის კონვენციის" შესაბამისად, განხილვისათვის შეთავაზებაზე ერთერთი მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორი, რომელიც წამოჭრილი დავის დაწყებამდე კონკრულირდებოდა მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორის მიერ, კონვენციის 25-ე (2-b) მუხლის შესაბამისად, კონვენციის მიზნების შესრულებისათვის აქვს იგივე უფლებები, როგორც მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფოს ინვესტორებს.

### მუხლი 12

ცვლილებებისა და დამატებების შეგანა

ამ შეთანხმებაში შეიძლება შეგანილ იქნას ცვლილებები და დამატებები მონაწილე მხარეთა წერილობითი თანხმობით.

### მუხლი 13

შეთანხმების ძალაში შესვლა, მოქმედების ხანგრძლივობა და შეწყვეტა

1. მონაწილე მხარეები, ამ შეთანხმების ძალაში შესვლის მიმართებაში, თითოეული მხარის სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართლებრივი პროცედურების შესრულების შესახებ ცვლიან ნოტებს.

ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღად ითვლება ბოლო ნოტის მიღების თარიღი.

2. ეს შეთანხმება იმოქმედებს ათი წლის განმავლობაში, ამ შეთანხმების მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება მორიგი ხუთწლიანი პერიოდით, თუ არც ერთი მონაწილე მხარეთაგანი, შესაბამისი ვადის გასვლამდე თორმეტი თვით ადრე წერილობით ფორმაში არ შეაგყობინებს მეორე მონაწილე მხარეს თავის სურვილს ამ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

3. ამ შეთანხმების დენონსაციის შემთხვევაში, ამ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის მომენტის შემდეგ განხორციელებული ინვესტიციების მიმართებაში 1-11 მუხლის დებულებები ძალაში რჩებიან შემდგომი ათწლიანი პერიოდით.

შესრულებულია ქ. ტაშკენტში, 1995 წლის 4 სექტემბერს, ორ ნამდვილ პირად, თითოეული ქართულ, უზბეკურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი თანაბარი ძალისაა.

ამ შეთანხმების განმარტების მიზნებისათვის გამოიყენება ტექსტი რუსულ ენაზე.



საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

უმბეკეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით